

შპს „ნეოგაზი“-ს წამახალისებელი გათამაშების ზოგადი წესები

(რეგლამენტი)

1. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მსურველი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და მოკლე ინფორმაცია: შპს „ნეოგაზის“ საიდენტიფიკაციო კოდი: 405037213, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, გაზაფხულის ქ#18

შპს „ნეოგაზი“ საქართველოს ტერიტორიაზე ფლობს ავტოგაზგასამართ სადგურების ქსელს, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებს ბუნებრივი აირის (გაზის) რეალიზებას.

2. ზოგადი წესის შედგენის მიზანი:

წამახალისებელი გათამაშების ნებართვის მიღება

3. გათამაშების მოწყობის მიზეზი:

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მიზეზია საწვავის რეალიზაციის ბიზნესში მაღალი კონკურენციის არსებობა, რომლის ფონზეც მნიშვნელოვანია მომხმარებლის წახალისება, ბრენდის ცნობადობის ზრდა, ბრენდის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და მომხმარებლის ლოიალურობის გაზრდა.

4. გათამაშების მოწყობის მიზანი:

გათამაშების მოწყობის მიზანია ბუნებრივი აირის რეალიზების ხელშეწყობა, არსებული და პოტენციური მომხმარებლის მიერ ბუნებრივი აირის მოხმარების კონცენტრირება ქსელში და ნეოგაზის ლოიალური ბარათით სარგებლობის წახალისება. მოლოდინი, რომ მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის საფუძველზე მიღებულმა ბილეთმა შეიძლება მოიგოს გათამაშების პრიზი, ნეოქარდის მფლობელს სტიმულს მისცემს, რომ ბუნებრივი აირის შეძენის დროს გამოიყენოს ლოიალური ბარათი.

5. პროდუქტი რომლის რეკლამირებისათვის ხორციელდება წამახალისებელი გათამაშების მოწყობა:

შეკუმშული ბუნებრივი აირის (საავტომობილო გაზი) რეალიზება.

6. წამახალიებელი გათამაშებაში მონაწილეობის მიღების პირობები:

6.1 გათამაშებაში შეიძლება ჩაერთოს ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე ან/და არარეზიდენტი ფიზიკური პირი:

- რომელიც ფლობს „ნეოქარდ ბარათს“ და აქციის მიმდინარეობის პერიოდში „ნეოგაზი“-ს ბრენდის ქვეშ არსებულ ავტო გაზგასამართი სადგურზე შეიძენს ნაღდი ან/და ბანკის ბარათით ანგარიშსწორების გზით მინიმუმ **10 კუბურ მეტრ** საწვავს ერთჯერადად (10 კუბური მეტრი = 1 ბილეთს, 20 კუბური მეტრი = 2 ბილეთს და ა.შ).

- რომელიც ნეოქარდ ბარათზე დაგროვილ 2 ქულის სანაცვლოდ მოითხოვს გათამაშებაში ჩართვას და სანაცვლოდ მიიღებს 1 ბილეთს (ნეოქარდ ბარათზე დაგროვილი 2 ქულა=წამახალისებელი გათამაშების 1 ბილეთს);
- დაუშვებელია:
 - ნეოქარდ ბარათზე დაგროვილი ქულებით ბუნებრივი აირის შესყიდვისას მომხმარებელზე გათამაშების ბილეთების გაცემა.
 - ნეოქარდ ბარათზე დაგროვილი ქულებით ბილეთის მიღებისას გაზგასამართ სადგურზე ბუნებრივი აირის შეძენა იმავე დაგროვებული ქულებით;

7. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობები:

- 7.1 გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მომხმარებელმა აუცილებლად უნდა გაატაროს ნეოქარდ ბარათი ავტოგაზგასამართ სადგურზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებს გათამაშებაში მონაწილეობას. იმ მომხმარებელს, რომელსაც არ ექნება ნეოქარდ ბარათი და ექნება სურვილი გათამაშებაში მონაწილეობის მიღებისა, შეუძლია ნეოქარდ ბარათი მიიღოს ნებისმიერ ნეოგაზის ბრენდის ქვეშ არსებულ ავტო გაზგასამართ სადგურზე.
- 7.2 გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ იურიდიულ პირებს, ასევე შპს „ნეოგაზი“-ს და მასთან აფილირებული პირების თანამშრომლებს და მათ ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები, და, ძმა).
- 7.3 იმ შემთხვევაში, თუ ბილეთის მფლობელი არ მოათავსებს ბილეთს ობიექტზე განლაგებულ სპეციალურ ყუთში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ფინალურ გათამაშებაში.
- 7.4 მომხმარებლის მიერ ბილეთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მას არ აქვს უფლება პრეტენზია წაუყენოს ორგანიზატორს.
- 7.5 ბილეთი გაუქმებულად ჩაითვლება თუ დაზიანებულია, გარკვევით არ არის მითითებული და არ იკითხება ტელეფონის ნომერი, ვერ გაივლის ვალიდაციას ან დარღვეულია სხვა რაიმე სახის მოთხოვნა.

8. წამახალისებელი გათამაშების პროცედურა:

- გათამაშება და გამარჯვებულის გამოვლენა განხორციელდება მომენტალური მომგებიანი ბილეთების და დოლურის მეშვეობით.
- გათამაშების ბილეთზე მითითებული უნიკალური ნომერი არის ბილეთის იდენტიფიკატორი.
- უნიკალური ნომრით განხორციელდება დოლურის მეშვეობით მთავარი პრიზის მფლობელის გამოვლენა.

8.1 მომენტალური მომგებიანი ბილეთების მეშვეობით:

8.1.1 ბილეთზე გადასაფხეკი ველის გადაფხეკის საშუალებით შესაძლებელი იქნება ადგილზე მომენტალური პრიზის მოგება. ამასთანავე გაცემული თითოეული ბილეთის მოსახვეი ნაწილის ავტოგაზგასამართ სადგურზე დამონტაჟებულ ყუთში მოათავსების შედეგად პირი ჩაერთვება ფინალურ გათამაშებაში, (მიუხედავად იმისა, აღნიშნულმა ბილეთმა მოიგო თუ არა მომენტალური პრიზი) რომელიც გაიმართება დოლურის მეშვეობით მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად.

- 8.1.2 მომხმარებელმა ბილეთის მიღებისთანავე უნდა გადაფხიკოს გადასაფხეკი ველი, გახიოს ბილეთი ორ ნაწილად, აქედან ბილეთის ერთი ნაწილი (მარცხენა) დარჩება მომხმარებელს, ხოლო მეორე ნაწილი (მარჯვენა) მოთავსდება ავტოგაზგასამართ სადგურებზე დამონტაჟებულ სპეციალურ ყუთში. მომხმარებელი სპეციალურ ყუთში განსათავსებელ ბილეთის ნაწილზე დააფიქსირებს მითითებულ ველში პირადი მობილური ტელეფონის ნომერს, რის შემდგომაც აღნიშნულს მოათავსებს სპეციალურ ყუთში.
- 8.1.3 გადასაფხეკი ველის მეშვეობით მოგებული პრიზი (ბუნებრივი აირის ტალონი) გაიცემა მომენტალურად, მოგების ადგილზე, მას შემდგომ, რაც მომხმარებლის მიერ შევსებულ იქნება ანკეტა, რაც დაადასტურებს გამარჯვებულის ვინაობას და პრიზის მიღების ფაქტს.
- 8.1.4 მოგებული ბუნებრივი აირის ტალონის განადღებით ავტოსატრანსპორტო საშუალების გამართვა გამარჯვებულ მომხმარებელს შეუძლია სურვილისამებრ შპს „ნეოგაზის“ ქსელში შემავალ ყველა სტაციონარ სადგურზე (გარდა მოძრავი ავტოგაზგასამართი სადგურებისა): (ა) მომენტალური პრიზის (ბუნებრივი აირის ტალონის) მოგებისთანავე; (ბ) მომენტალური პრიზის (ბუნებრივი აირის ტალონის) გადაცემიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში შპს „ნეოგაზის“ ქსელში შემავალ ყველა სტაციონარ სადგურზე მისი წარდგენისთანავე.

8.2. დოლურას მეშვეობით „მთავარი პრიზის“ გათამაშება:

8.2.1 წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი უზრუნველყოფს გათამაშებაში მონაწილე ყველა ბილეთის შეგროვებას. ბილეთების საბოლოო თავმოყრა მოხდება შპს „ნეოგაზი“-ს სათავო ოფისში (ქ.თბილისი, გაზაფხულის ქ#18), საიდანაც აღნიშნული ბილეთები დალუქული წესით გადაზიდულ იქნება ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში (ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ #5).

8.2.2 გამარჯვებულს გამოავლენს გადაცემის წამყვანი, რომელიც დოლურიდან ამოიღებს ალბათობის საფუძველზე წამახალისებელი გათამაშების ბილეთებს და წაიკითხავს მასზე მითითებული ტელეფონის ნომერს გარდა ბოლო სამი ციფრისა და ბილეთის უნიკალურ ნომერს. შემდეგ დარეკავს აღნიშნულ ნომერზე და პასუხის მიღების შემთხვევაში, მომხმარებელს მიულოცავს გამარჯვებას. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი 3 დარეკვის შემდეგ არ უპასუხებს ტელეფონს ან სამი მცდელობის შემდეგ ვერ მოხერხდება აბონენტთან დაკავშირება (მაგალითად, გამორთულია ტელეფონი) ბილეთი მოიხსნება გათამაშებიდან და წამყვანი ამოიღებს შემდეგ ნომერს დოლურიდან.

8.2.3 ფინალური პრიზის მისაღებად მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს მომგებიანი ბილეთის მეორე ნაწილი (რომელიც შეინახა მომხმარებელმა) და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

8.2.4 ფინალურ გათამაშებაზე მოგებული პრიზის მოთხოვნა გამარჯვებულ მომხმარებელს შეუძლია გათამაშებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო პრიზის გაცემა მოხდება მოგებული ბილეთის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 დღისა შპს „ნეოგაზის“ ორთაჭალოს ავტო გაზგასამართი სადგურიდან, მდებარე მისამართზე, ქალაქი თბილისი, გულუას ქუჩა №22.

9. გათამაშების ჩატარების ვადა და ადგილი:

9.1 წამახალისებელი გათამაშება ჩატარდება საქართველოს მასშტაბით და მასში ჩაერთვება შპს „ნეოგაზი“-ს ავტო გაზგასამართი სადგურების მთელი ქსელი და ასევე მისი ბრენდის ქვეშ ფრენშიაიზის ხელშეკრულების შესაბამისად არსებული ავტოგაზგასამართი სადგურები, რომლის მეშვეობით შპს „ნეოგაზი“ ახორციელებს ბუნებრივი აირის (საავტომობილო გაზი) რეალიზაციას ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვის გზით. აქციის პირობები გავრცელდება შპს „ნეოგაზი“-ს ქსელში შემავალ ყველა სტაციონარ სადგურზე, გარდა მოძრავი ავტოგაზგასამართი სადგურებისა:

- ◆ შპს „ნეოგაზი“ - 19 სადგური (იხ.დანართი#1)
- ◆ შპს „აჭარა ავტოგაზი“- 1 სადგური (იხ. ფრენშიაიზის ხელშეკრულება)
- ◆ შპს „მობილგორი გაზი“ – 1 სადგური (იხ.ფრენშიაიზის ხელშეკრულება)

9.2 მომენტალური გათამაშება დაიწყება 2017 წლის 5 ოქტომბერს 00:00 სთ-დან და დასრულდება 2017 წლის 24 დეკემბერს 23:59 საათზე, მომენტალური პრიზის გაცემა განხორციელდება მოგების ადგილზევე;

- მთავარი პრიზის გათამაშებისათვის ბილეთების გაცემა დაიწყება 2017 წლის 5 ოქტომბერს 00:00 სთ-დან და დასრულდება 2017 წლის 24 დეკემბერს 23:59 საათზე, შემდგომ განხორციელდება ბილეთების თავმოყრა და 2018 წლის 11 იანვარს გათამაშდება მთავარი პრიზი დოლურის მეშვეობით სატელევიზიო ეთერის საშუალებით (გათამაშება წარიმართება ტელეკომპანია იმედის ეთერში 2018 წლის 11 იანვრის 18:40 საათზე). გათამაშებული მთავარი პრიზის გაცემა განხორციელდება მოგებული ბილეთის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 დღისა შპს „ნეოგაზის“ ორთაჭალოს ავტო გაზგასამართი სადგურიდან, მდებარე მისამართზე, ქალაქი თბილისი, გულუას ქუჩა №22.

10. მოგების გაცემის ვადები:

10.1 მომგებიანი თამაშობის მოგებების გაცემის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 კალენდარული დღე. მოგება უნდა გაიცეს მომგებიანი ბილეთის (ტალონის) წარდგენიდან არა უგვიანეს 6 დღისა.

11. ბილეთების რაოდენობა, ნუმერაცია და აღწერილობა:

11.1 ბილეთების საერთო რაოდენობა შეადგენს 600 000 (ექვსასი ათასი) ცალს, ნუმერაციით 100 001-დან 700 000-ის ჩთ.

11.2 ბილეთის ფორმა წარმოადგენს ოთკუთხედს, ზომებით 50X100 მმ, 180 გრ. ოფსეტის ქაღალდი 4+4, სკრეჟ (გადასაფხეკი) ველით და ლამინაციით ცალ მხარეს. ბილეთი იქნება

პერფორირებული და გაიყოფა ორ ნაწილად. ბილეთს დამცავი ნიშნების სახით ექნება დამკვეთის ლოგოტიპი შესრულებული უხილავი საღებავით, დამცავი ბადე, ნუმერაცია და შტრიხკოდი, რომელშიც დაშიფრული იქნება ბილეთის ნომერი. ბილეთების ნომრებს Excel-ის ფაილში დააგენერირებს დამკვეთი და გადასცემს სტამბას. გადასაფხეკი ველის ქვეშ მომგებიან ბილეთზე დატანილი იქნება მომენტალური გათამაშების პრიზი ან მთავარი პრიზის მოგების შანსი. ბილეთს ექნება გრაფა სადაც მომხმარებელი ჩაწერს პირადი მობილური ტელეფონის ნომერს.

12. საპრიზო ფონდი:

12.1 წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი შეადგენს **90 267. 21** ლარს

12.2 მთავარი პრიზი

დასახელება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ღირებულება საშემოსავლოს ჩათვლით
ავტომანქანა (Toyota, Corolla)	1	48 612.81

ჯამი: 48 612.81 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით

12.3 მომენტალური გათამაშების პრინციპით მოხდება შემდეგი პრიზების გათამაშება

დასახელება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ღირებულება საშემოსავლოს ჩათვლით	ჯამი
2 კუბიანი ბუნებრივი აირის ტალონი	2400	2.89	6936.00
5 კუბიანი ბუნებრივი აირის ტალონი	960	7.23	6940.80
10 კუბიანი ბუნებრივი აირის ტალონი	960	14.47	13891.20
20 კუბიანი ბუნებრივი აირის ტალონი	480	28.93	13886.40
		ჯამი	41 654.40

ჯამი: 41 654.40 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით

13. პრეტენზიების განხილვის წესი:

13.1 წამახალისებელი გათამაშების ორგანიზებასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს შემთხვევის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში მიმართოს ორგანიზატორს პრეტენზიით. პრეტენზიის დაფიქსირება მომხმარებელს შეეძლება:

- ელ.ფოსტაზე პრეტენზიის გამოგზავნით info@neogas.ge

ან

- წერილობითი ფორმით ქ.თბილისი, გაზაფხულის ქ.#18-ში შპს „ნეოგაზის“ სათაო ოფისში.

მომხმარებლების პრეტენზიების შესახებ გადაწყვეტილებას ორგანიზატორი იღებს არაუგვიანეს 20 დღისა პრეტენზიის მიღების დღიდან. პრიზის გაცემის შემდეგ პრეტენზია არ განიხილება.

14. დასკვნითი დებულებები:

14.1 რეგლამენტში გაწერილი ინფორმაცია მომხმარებელს შეეძლებათ მოითხოვონ ავტოგაზგასამართი სადგურების ტერიტორიაზე. ასევე განთავსდება კომპანიის ვებ-გვერდზე: www.neogas.ge და facebook: ნეოგაზი/neogas.

14.2 დაუშვებელია პრიზის ნაცვლად ფულადი თანხის მიღება.

14.3 პრიზების მიღებით გამარჯვებულები თანხმობას უცხადებენ ორგანიზატორს, რომ გამარჯვებულების ფოტო-ვიდეო მასალა გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სახის სარეკლამო მიზნებისთვის, ნებისმიერ მედია და სოციალურ არხზე გამოსაყენებლად, დამატებითი თანხმობის გარეშე.

შპს „ნეოგაზი“
დირექტორი

ზურაბ გოზალიშვილი

